# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

20-84

## დადგენილება № ---

« 30 » დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურაში სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქარველოს კანონის 25-ე მუხლის და „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N410 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურაში სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის წესი დანართი N1 შესაბამისად.

2. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში სტაჟირებაზე განაცხადის ფორმა დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმა დანართი N3-ის შესაბამისად.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ქ. თბილისის მერიის სტრუქტურაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 25 აპრილი N19 ბრძანება;

ბ) „ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურაში პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 25 აპრილის N18 ბრძანება .

5. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ეროვნული ალიბეგაშვილი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი (შემდგომში-წესი) არეგულირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში (შემდგომში - მერია) სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლას.

2. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტაჟირება – მერიაში „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ" სახელმწიფო პროგრამით (შემდგომში - პროგრამა) და ამ წესით რეგულირებადი, აუნაზღაურებელი საქმიანობა;

ბ) სასწავლო პრაქტიკა _ მერიაში ამ წესით რეგულირებული აუნაზღაურებელი მოკლევადიანი საქმიანობა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით;

გ) სტაჟიორი – პირი, რომელიც ამ წესის საფუძველზე გადის სტაჟირებას მერიის სისტემაში;

დ) პრაქტიკანტი _ პირი, რომელიც ამ წესის საფუძველზე გადის სასწავლო პრაქტიკას მერიის სისტემაში;

ე) ბიურო _ სსიპ-საჯარო სამსახურის ბიურო, რომლის ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით ხდება სტაჟიორად მიღების მსურველ პირთა განცხადებების მიღება;

ვ) კანდიდატი – პირი, რომელსაც პროგრამის შესაბამისად ბიუროში შეაქვს განცხადება ან ამ წესით მერიის ადმინისტრაციის საკადრო რესურსების სამსახურში (შემდგომში - სამსახური) შეაქვს განაცხადი (დანართი 2) სტაჟირების გავლის შესახებ, აგრეთვე პირი, რომლის მიერაც სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი მიმართავს მერს.

## მუხლი 2. სტაჟირების/პრაქტიკის მიზანი

სტაჟირების/პრაქტიკის მიზანია:

ა) მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, მათი პროფესიული განვითარება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და სრულყოფა, ასევე სასწავლო პროცესში სტუდენტთა მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განმტკიცება;

ბ) მერიისათვის კვალიფიკაციური კადრების მომზადება;

გ) სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

## მუხლი 3. სტაჟირების გავლის საერთო წესი

1. მერიაში სტაჟიორად პირი მიიღება შესაბამისი განცხადების საფუძველზე, რომელიც წარედგინება ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის მეშვეობით ან სამსახურში განაცხადის შეტანის საფუძველზე.

2. პროგრამის ფარგლებში - მერიაში სტაჟიორთა მიღება განხორციელდება ყოველწლიურად, ორ ნაკადად. პირველი, შემოდგომის ნაკადი მიიღება სექტემბერში, ხოლო მეორე, გაზაფხულის ნაკადი - მარტში.

3. მერია შესაბამისი ნაკადისათვის გათვალისწინებული ვადის დაწყებამდე 2 თვით ადრე ბიუროს მიაწვდის ინფორმაციას არსებულ სტაჟიორთა კვოტისა და პროფილის შესახებ.

4. ბიუროს მიერ კანდიდატების განაწილების შემდეგ, სტაჟირების დაწყებამდე 10 დღით ადრე, სტაჟირების კანდიდატი ვალდებულია, გამოცხადდეს სამსახურში და გაიაროს რეგისტრაცია. კანდიდატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სამსახური ინფორმაციას აწვდის ბიუროს.

5. რეგისტრაციის გავლის შემდეგ სამსახურის უფროსი ახორციელებს სტაჟიორების გადანაწილებას სტრუქტურულ ერთეულებში შესაბამისი პროფილის მიხედვით.

6. მერიაში სტაჟიორთა რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულთა რაოდენობის 10%-ისა.

7. სტაჟირების ვადა არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს.

8. სტაჟირება ერთჯერადი ხასიათისაა, ტარდება სასწავლო/პროფესიული გამოცდილების მიღების მიზნით და ანაზღაურების გარეშე.

9. ბიუროს გარდა, მერიის სისტემაში სტაჟიორთა მიღება ხდება მსურველთა მიერ სამსახურში განაცხადის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნულ შემთხვევაში სტაჟირება არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს.

10. კანდიდატის სტაჟიორად მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მერი.

მუხლი 4. სასწავლო პრაქტიკის ორგანიზება

1. მერიის სტრუქტურაში სასწავლო პრაქტიკის გასავლელად საჭიროა უმაღლესმა სასწავლებლებმა მერის სახელზე წერილობით წარმოადგინონ მოთხოვნა სტუდენტების მიერ სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს სტუდენტების სია.

2. სასწავლო პრაქტიკის გავლის მექანიზმი რეგულირდება ამ წესითა და უმაღლესი სასწავლებლების საწარმოო პრაქტიკის პროგრამით.

3. სასწავლო პრაქტიკის გავლის ადგილზე პრაქტიკანტების თანაბრად განაწილების მექანიზმს განსაზღვრავს სამსახური.

მუხლი 5. სტაჟიორი

1. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის

დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N410 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. სამსახურში განაცხადის საფუძველზე, მერიაში სტაჟირების გავლის მსურველი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, ან უნდა იყოს უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი;

ბ) იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე;

გ) სრულყოფილად ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას;

დ) ფლობდეს კომპიუტერულ საოფისე პროგრამებს.

2. სტაჟირების მსურველმა კანდიდატმა მერიის ადმინისტრაციის საკადრო რესურსების სამსახურში უნდა წარმოადგინოს:

ა) განაცხადის შევსებული ფორმა;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) დიპლომის ასლი ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან;

დ) CV;

ე) ორი ფოტოსურათი (3X4).

მუხლი 6. პრაქტიკანტი

1. მერიაში პრაქტიკანტად მიიღება კანდიდატი, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მომართვის საფუძველზე, რაზედაც გადაწყვეტილებას იღებს მერი.

2. სასწავლო პრაქტიკის გავლის კანდიდატი მერიის ადმინისტრაციის საკადრო რესურსების სამსახურს წარუდგენს შემდეგ საბუთებს:

ა) მომართვა უმაღლესი სასწავლებლიდან;

ბ) განცხადება სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ;

გ) CV;

დ) ფოტოსურათი (ზომით 3x4)

3. სასწავლო პრაქტიკის ვადა განისაზღვრება სასწავლო დაწესებულებასთან შეთანხმებით.

4. კანდიდატი გადის გასაუბრებას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან. გადაწყვეტილებას კანდიდატის პრაქტიკანტად დანიშვნის შესახებ იღებს მერი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

5. სასწავლო პრაქტიკის გავლის შემდეგ პრაქტიკანტს გადაეცემა პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი ცნობა.

მუხლი 7. სტაჟიორის/პრაქტიკანტის უფლება-მოვალეობები

1. სტაჟიორს/პრაქტიკანტს უფლება აქვს, ხელმძღვანელის თანხმობით:

ა) გაეცნოს მერიის სტრუქტურული ერთეულის და მთლიანად დაწესებულების მუშაობის სპეციფიკას, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების მომზადების პროცესში;

ბ) გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას, მათ შორის საარქივო მასალას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ელექტრონული საშუალებებით და სხვა);

გ) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს მერიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

დ) უშუალო ხელმძღვანელის მითითებით შეასრულოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული დავალებები;

ე) სტაჟირების/სასწავლო პრაქტიკის მიმდინარეობისას გამოვლენილი ხარვეზების შესახებ, დასაბუთებული წერილობითი ფორმით, შეატყობინოს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს;

ვ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებები.

2. სტაჟიორი/პრაქტიკანტი ვალდებულია:

ა) დადგენილ ვადებში შეასრულოს ყველა ის დავალება, რომელიც მას დაეკისრა ხელმძღვანელის მიერ და რომელიც გამომდინარეობს მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის სპეციფიკიდან;

ბ) დაიცვას მერიის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

გ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საიდუმლოების პრინციპი.

### მუხლი 8. მერიის ხელმძღვანელი პირების ვალდებულება სტაჟიორის/პრაქტიკანტის მიმართ

1. მერიის ხელმძღვანელი პირები სტაჟიორს/პრაქტიკანტს უქმნიან სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

2. სტაჟიორის/პრაქტიკანტის უშუალო ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა) პირადად აკონტროლოს სტაჟიორის/პრაქტიკანტის საქმიანობა;

ბ) პერიოდულად მიაწოდოს სასწავლო თემატიკა, მისცეს დავალებები და უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციით;

გ) ხელი შეუწყოს სტაჟიორს/პრაქტიკანტს მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში;

დ) სტაჟიორის/პრაქტიკანტის ყოველდღიურ საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სტრუქტურული ერთეულის უფროსის მიერ უშუალო ხელმძღვანელად დანიშნული სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში სტრუქტურული ერთეულის უფროსს წარუდგენს ანგარიშს სტაჟიორის/პრაქტიკანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ.

### მუხლი 9. სტაჟირების შეწყვეტა

1. სტაჟირების შეწყვეტის საფუძველია:

ა) სტაჟირების პერიოდში არასაპატიო მიზეზით 5 დღის განმავლობაში სტაჟირების გავლის ადგილზე გამოუცხადებლობა;

ბ) დავალებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

გ) პირადი განცხადება;

2.სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მერი სტრუქტურული ერთეულის უფროსის რეკომენდაციის საფუძველზე.

**მუხლი 10. სტაჟირების დასრულება**

1. სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ, მერი სტრუქტურული ერთეულის უფროსის რეკომენდაციით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სტაჟირების შედეგების დადებითი შეფასების შესახებ;

ბ) სტაჟირების შედეგების უარყოფითი შეფასების შესახებ.

2. სტაჟიორის დადებითად შეფასების შემთხვევაში, სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

**მუხლი 11. სასწავლო პრაქტიკის სხვა პირობები, დასრულება**

1. სასწავლო პრაქტიკის პროგრამა იქმნება კანდიდატების წარმომდგენი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისა და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ურთიერთ-შეთანხმების საფუძველზე.

2. სასწავლო პრაქტიკის ვადის გასვლის შემდეგ, მერი სტრუქტურული ერთეულის უფროსის რეკომენდაციით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სასწავლო პრაქტიკის შედეგების დადებითი შეფასების შესახებ;

ბ) სასწავლო პრაქტიკის შედეგების უარყოფითი შეფასების შესახებ.

3. სასწავლო პრაქტიკის წარჩინებით გავლის შემდეგ პრაქტიკანტს გადაეცემა პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი ცნობა.

დანართი 2

## სტაჟირებაზე განაცხადის ფორმა

1. გვარი, სახელი ----------
2. დაბადების ადგილი, თარიღი ----------
3. მოქალაქეობა ----------
4. პირადობის მოწმობის ნომერი ----------
5. ოჯახური მდგომარეობა ----------
6. საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი: ----------
7. განათლება (როდის - რომელი სასწავლებელი დაამთავრეთ) ----------
8. ამჟამად სწავლობთ თუ არა და სად? ----------
---
9. სპეციალობა, კვალიფიკაცია (დიპლომის მიხედვით) და დიპლომის ნომერი (დიპლომის არსებობის შემთხვევაში) ----------
---
10. რომელ უცხო ენებს ფლობთ?
11. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: ----------
12. მერიის რომელ სტრუქტურულ ქვედანაყოფში გსურთ სტაჟირების გავლა. მიუთითეთ სამი სტრუქტურულ ქვედანაყოფი პრიორიტეტების მიხედვით.
---
---
---
---
13. გთხოვთ ცალკე წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ბ) CV;

გ) ფოტოსურათი (ზომით 3x4)

დ) დიპლომის ასლი ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან (არსებობის შემთხვევაში);

ს სერთიფიკატი გადაეცემა _____

ე This is to certify that _____

რ

ტ

ი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის _____

ფ სტაჟირების კურსის წარმატებით დასრულებისათვის.

ი Has successfully completed Internship Course with_____

კ Tbilisi Municipality City Hall

ა

ტ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ი Tbilisi Municipality City Hall Mayor_____

# განმარტებითი ბარათი

## "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში და მერიის სტრუქტურაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ"

## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

**ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:**

საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ" სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N410 დადგენილების, რომელიც განსაზღვრავს თვითმმართველობის ორგანოებში სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" (შემდგომში თვითმმართველობის კოდექსი) მიღებით, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა აღარ გამოსცემს ნორმატიული ხასიათის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე დღეს მოქმედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ახალ ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანით.

**ბ) პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:**

წარმოდგენილი პროექტით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის წესი (შემდგომში - წესი), რომლის მიხედვითაც სტაჟიორად პირი მიიღება შესაბამისი განცხადების წარდგენით სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროში ადმინისტრაციული ვებგვერდის მეშვეობით. ბიუროს გარდა, მერიის სისტემაში სტაჟიორთა მიღება ხდება მსურველთა მიერ მერიის ადმინისტრაციის საკადრო რესურსების სამსახურში, დადგენილი განაცხადის მიმართვის საფუძველზე. პროექტის მიხედვით დადგენილია მერიაში არსებულ სტაჟიორთა კვოტისა და პროფილის შესახებ ინფორმაციის სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროსთვის მიწოდების ვალდებულება. წესი ითვალისწინებს აგრეთვე, მერიის სისტემაში პრაქტიკის გავლის მსურველ კანდიდატთა მიღების, პრაქტის გავლისა და დასრულების პროცესს.

**გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებსა და იგი არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

**დ) პროექტის ავტორი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.